პოტენციური ბენეფიციარების განწყობების კვლევა: რამდენად ისწავლიდნენ ადმინისტრაციული სერვისების პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე

პოტენციური ბენეფიციარების განწყობების კვლევა: რამდენად ისწავლიდნენ ადმინისტრაციული სერვისების პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე

შესავალი

გარდა ადგილობრივი შრომის ბაზრის საჭიროებების კვლევისა, კოლეჯი „ერქვანი“ პერიოდულად ახდენს პოტენციური ბენეფიციარების განწყობების შესწავლას. ვიკვლევთ, თუ რომელი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები აინტერესებთ მათ და რომელზე გაუჩნდებოდათ სწავლის სურვილი.

მას შემდეგ, რაც ორგანიზაციების საჭიროებების კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ მათ სჭირდებათ კვალიფიციური კადრები საშუალო რგოლის ადმინისტრაციულ პოზიციებზე, გადავწყვიტეთ შეგვესწავლა, პოტენციური ბენეფიციარები რამდენად ინტერესდებიან „ადმინისტრაციული სერვისების“ მიმართულებით და აქვთ თუ არა სწავლის სურვილი ამ სფეროში.

გამოკითხვისთვის შემუშავდა კითხვარი (Google doc-ფორმატში -იხ. კითხვარის ლინკი https://docs.google.com/forms/d/e/1FAIpQLSfzpUuXAljb67SCdfWMbs1ys7vWFPJWsGRYQ10z8OmbIrCn0A/viewform?usp=sf_link)

კითხვარის გასავრცელებათ გამოვიყენეთ სოციალური ქსელები.

გამოკითხვის შედეგები

გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო 85 ადამიანმა. გამოკითხულთაგან 67.1% მდედრობითი სქესისა, ხოლო 32.9% -მამრობითის



ასაკობრივ ჭრილში თუ შევხედავთ გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო:

15-დან 30 წლის მიიღო 53 ადამიანმა.

30-დან ზემოთ 32 ადამიანმა.

გამოკითხულთა დიდი უმრავლესობა ცხოვრობს რაჭა-ლეჩხუმ ქვემო სვანეთის რეგიონში.



საინტერესოა გამოკითხულთა მიღწეული განათლების ბოლო საფეხური, რომელიც მრავალფეროვანია:



გამოკითხულთა 87.1% კითხვაზე ისწავლიდნენ თუ არა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ,,ადმინისტრაციული სერვისები ამბობენ,რომ კი. (აღსანიშანვია,რომ კითხვარში

განმარტებული იყო ადმინისტრაციული სერვისების კვალიფიკაციის მფლობელს რა შეეძლებოდა სწავლის დასრულების შემდეგ.)



რომ, შევაჯამოთ გამოკითხვამ აჩვენა, რომ „ადმინისტრაციული სერვისების“ პროგრამის მიმართ ინტერესი სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფში თანაბრადაა გადანაწილებული. ეს ნიშნავს, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მიმზიდველი იქნება როგორც ახალგაზრდებისთვის, რომლებსაც პროფესიული განვითარება სჭირდებათ კარიერის დასაწყებად, ასევე იმ ადამიანებისთვის, რომელთაც არსებული ცოდნის განახლება ან ახალი უნარების შეძენა სურთ. სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფში სწავლის სურვილის თანაბარი გამოხატვა მიუთითებს, რომ პროგრამას შეუძლია ფართო აუდიტორიის საჭიროებების დაკმაყოფილება .